ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში

2019 წლის შეფასება

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას აფასებს და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური, სოციალური და უფლებრივი თვალსაზრისით ეს წელი ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში ყველაზე რთული წელი იყო, რომელმაც პოლიტიკურის კრიზისები და ჩვენს საზოგადოებაში არსებული სოციალური ფრუსტრაცია კიდევ უფრო გააღრმავა.

მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვან პოზიტიურ სიახლეებს წარმოადგენდა „შრომის უსაფრთხოების“ შესახებ ორგანული კანონის მიღება, რომელმაც გააფართოვა სახელმწიფოს მანდატი აკონტროლოს შრომის უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა სამუშაო ადგილებზე. ამასთან, მიმდინარე წელს უკავშირდება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის დახვეწისა და სახალხო დამცველის მანდატის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე, შევიწროვებისა და სექსუალური შევიწროვების რეგლამენტირება. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა და პოზიტიური რეფორმები სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახურის შექმნისა და შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის გაძლიერების მიმართულებით. დასახელებული პოზიტიური ცვლილებები უმეტესად საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა თუ ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგს წარმოადგენს, რაც ასუსტებს რეფორმების სათანადო აღსრულების პოლიტიკურ შესაძლებლობას და მათ რეალურ გავლენას ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე. ამასთან, დასახელებული მნიშვნელოვანი სიახლეების მიუხედავად, მიმდინარე წელი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებითი ხასიათის გამოწვევებით ხასიათდებოდა.

მიმდინარე წელს მძიმედ დადგა შეკრების თავისუფლების უხეში ხელყოფისა და პოლიციის მხრიდან შეკრების მონაწილეების მიმართ ძალის გადამეტების საკითხი. 21 ივნისის შეკრების დაშლას ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა და დასჯა მოჰყვა, რასაც არ ახლდა სისტემის მხრიდან დარღვევების სათანადო გამოძიება და სისტემური ხარვეზების აღიარება. ამის საპირისპიროდ მმართველი პოლიტიკური გუნდი საკითხის პოლიტიზირებას და ამ გზით საზოგადოებრივი წუხილების გადაფარვას ცდილობდა.

21 ივნისის მოვლენების შემდეგ სოციალურმა პროტესტმა მოახერხა მმართველი პარტიისგან მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაპირების მიღება, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით და ბუნებრივი ბარიერის პიროებით ჩატარების შესაძლებლობას ითვალსწინებდა. ამგვარი საარჩევნო სისტემა არსებული პოლარიზებული პოლიტიკური ველის გარღვევის, ახალი პოლიტიკური ჯგუფების გამოჩენისა და უფრო სამართლიანი და ინკლუზიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, საშემოდგომო სესიაზე ქართულმა ოცნებამ ეს საჯარო დაპირება არ შეასრულა და კონსტიტუციური კანონპროექტი თითქოსდა პარტიის მაჟორიტარი წევრების წინააღმდეგობის გამო ჩავარდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მმართველი პოლიტიკური გუნდიდან მნიშვნელოვანი წევრების გასვლა და შიდა კრიზისი მოჰყვა. სამოქალაქო ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების პროტესტმა კი ქუჩებში გადაიანაცვლა. ამ პირობებში ხელისუფლება არ ცდილობს შექმნას პოლიტიკური დიალოგის ფორმატები და მეტწილად რადიკალური პოლიტიკური რიტორიკითა და პოლიციის ძალების გამოყენებით ცდილობს არსებული პოლიტიკური status quo შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროცესებში პოლიციის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ნიშნებმა საგანგაშო ნიშნები შეიძინა და შსს-ს სისტემაში დაწყებული რეფორმების სოციალური მნიშვნელობა დააკნინა.

მიმდინარე წელს თვალშისაცემი იყო პროკურატურისა და სასამართლოს პოლიტიზირების ტენდენცია პოლიტიკური ოპონენტების დაუსაბუთებელი დევნა, მედიის შევიწროება და სასამართლო სისტემაში ე.წ. კლანის გავლენების ზრდა რაც სახელმწიფო ინსტიტუტების რყევის და მათი პარტიულ-პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენების ნიშნებს აჩენდა.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დაძლევას ხელისუფლება სახელმწიფო ობიექტების მასშტაბური პრივატიზების, ჰესების მასშტაბური პროექტების მშენებლობის და შრომითი მიგრაციის მხარდაჭერით ხედავს, რაც ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის უხეში გაგრძელებაა და მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების რესურსი ჩანასახშივე არ გააჩნია.

მიმდინარე პოლიტიკური კრიზისების ფონზე სულ უფრო რთული გახდა სოციალური რეფორმების და ადამიანების რეალურ საჭიროებებზე, წუხილებზე და ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდაჭერა. მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა, ქალაქსა და სოფლებში ცხოვრების ხარისხს შორის ღრმა განსხვავება, განათლების სისტემის უკიდურესად სუსტი და უთანასწორო ბუნება და მზარდი მიგრაცია მთავრობას რადიკალური სოციალური რეფორმებისკენ უნდა უბიძგებდეს თუმცა, ეს საკითხები პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილიც კი არ არის. სამწუხაროა, რომ მიმდინარე წელს ასევე ვერ მოხერხდა შრომის კოდექსის რეფორმის მიზნით დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირება.

2019 წელი კრიზისული იყო პანკისის ხეობისთვის. ჰესების მშენებლობის მიზნით მასშტაბური საპოლიციო ღონისძიება 21 აპრილს შსს-მ ხეობაში ისე დაგეგმა, რომ ჰესების თემაზე მიმდინარე პოლიტიკური მოლაპარაკებები არ იყო ამოწურული. თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფისა და აშკარად არაეფექტიანი გამოძიების შემდეგ ხეობაში დაგროვებული უნდობლობა, 21 აპრილის მოვლენებმა კიდევ უფრო გააღრმავა.

ადგილობრივი თემი ჰესების მშენებლობაზე კერძო კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ საპოლიციო რესურსის ჭარბ კონცენტრაციაზე და ინტერვენციაზე უთითებდა, რაც მათივე თქმით, მიმდინარე წლის 27 ნოემბერს თემის წევრებს შორის შეირაღებული დაპირისპირების დასრულდა. ხეობაში დაწყებული უნიკალური დემოკრატიული პროცესების ფონზე სახელმწიფოს ამგვარი გადაწყვეტილებები არსებითად აზიანებს რეგიონის განვითარების შესაძლებლობას და ხეობაში პოლიტიკას კვლავ უსაფრთხოების და დასჯის დისკურსში აბრუნებს.

მიმდინარე წელს კვლავ ჩანდა ანტიდემოკრატიული ძალადობრივი ჯგუფების პოლიტიკური აქტიურობა, რომელთა ჰომოფობიურ და სხვა ტიპის ძალადობას სამართალდამცავი სისტემა იწყნარებს და უშვებს. აღნიშნული ჯგუფების პოლიტიკური საქმიანობა მთლიანობაში ხელისუფლების მიერ მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების და მათი გამოყენების ჭარბი დღის წესრიგისა და ხელოვნური კონფლიქტების შექმნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

2019 წელი მძიმე იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების პოლიტიკაში ჩანს ნორმალიზებასა და ნდობის აღდგენაზე მიმართული რიტორიკა, კონფლიქტის რეგიონებთან მდგომარეობა სულ უფრო იძაბება. 2019 წლის სექტემბრიდან ახალგორთან ე.წ. საზღვრების ჩაკეტვის გამო რეგიონში ჰუმანიტარული კრიზისი მდგომარეობაა შექმნილი და ადგილობრივებს ბაზისურ სამედიცინო და სოციალურ რესურსებზე არ მიუწვდებათ ხელი. ამ ფონზე ცხინვალში სათანადო სამედიცინო დახმარების რესურსის არ არსებობის გამო გარდაიცვალა ერთ ადამიანი. ამავე პერიოდში სამხრეთ ოსეთის de facto ხელისუფლებამ დააკავა ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც ამ დრომე ცხინვალის ციხეში პატიმრობაში რჩება. ახალგორში საზღრების ჩაკეტვა სოფელ ჩორჩანაში ქართული პოლიციის გახნის მცდელობას დაუკავშირდა. ამ თემაზე მიმდინარე მოლაპარაკებები აჩვენებს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს სულ უფრო ჩამოსცილდა პოლიტიკური და სამოქალაქო განზომილება და ის მეტწილად უსაფრთხოების სამსახურებს შორის კომუნიკაციაზე დავიდა.

შრომის პოლიტიკა

სამუშაო ადგილზე დასაქმებულების გარდაცვალების გახმაურებული ფაქტების გამო, შრომის უსაფრთხოების საკითხი შრომის პოლიტიკის ყველაზე პოლიტიზერებული ასპექტი იყო 2019 წელსაც. 2018 წელს მიღებულმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (აწ უკვე ორგანულმა) კანონმა და ამ წლის სექტემბერში აღნიშნული კანონის მნიშვნელოვანი მუხლების ამოქმედებამ, შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკის, განსაკუთრებით, ეფექტიანი შრომის ინსპექციის, საკანონმდებლო ბაზა შექმნა. ამასთან, მუშების დაღუპვით საზოგადოების სამართლიანი აღშფოთების პასუხად, მაისში, შრომის უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოს პარლამენტში თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა, აგვისტოდან კი, თბილისის მერიის, შრომის ინსპექციისა და ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული,

ინტეგრირებული მონიტორინგისა და ინსპექტირების ჯგუფები ამოქმედდა, რომელმაც 200-ზე მეტი სამშენებლო ობიექტი შეამოწმა და უმეტეს შემთხვევაში დარღვევები აღმოაჩინა.

თუმცა, ბოლო მონაცემებით, საკანონმდებლო ცვლილებებსა და მონიტორინგის სისტემების გააქტიურებას საწარმოო შემთხვევებით გარდაცვლილთა და დაზარალებულთა სტატისტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა იმ პირობებში, როცა ტყიბულში, სადაც მხოლოდ 2018 წელს 12 ადამიანი დაიღუპა და 9 მძიმედ დაშავდა, ნახშირმოპოვების პროცესი პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, შესაბამისი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასრულებამდე, 2018 წლის ივლისიდანაა შეჩერებული.

გამოწვევად რჩება შრომის ინსპექციის პროაქტიურობა, ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და გაძლიერება, ინსპექტორთა შესაბამისი რაოდენობა და კვალიფიკაცია, რეგიონალური წარმომადგენლობა, სამშენებლო უსაფრთხოების სფეროში თბილისის გარდა სხვა მუნიციპალიტეტების დონეზე სანქციების ადეკვატური მექანიზმის შემუშავება, უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წესებისა და პოლიტიკის განჭვრეტადობა და გამოძიების გამართულობა, შრომის უსაფრთხოების ცნების ვიწრო გაგება (მასში არ მოიაზრება სამუშაო ადგილზე ფსიქოსოციალური საფრთხეები და რისკები) და სხვა.

კვლავ არსებითი პრობლემაა ის ფაქტი, რომ შრომის ინსპექციის მანდატი შრომითი უფლებების სფეროზე არ ვრცელდება, რაც განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში მომსახურების სექტორში დასაქმებულებს ამყოფებს, რომლებიც სისტემატიური ექსპლუატაციის მსხვრეპლები არიან.

მშრომელების უფლებების დაცვის კუთხით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, როგორიც სამუშაო დროის დარეგულირება, დისკრიმინაციის თუ დეკრეტული შვებულების წესების დახვეწაა, შრომის კანონმდებლობაში დაგეგმილი რეფორმების ფარგლებში, შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდა და მისი ინსტიტუციონალური გაძლიერებაც იგეგმებოდა. თუმცა ოქტომბერ-ნოემბერში გამართული ოთხი სამუშაო შეხვედრის შემდეგ, ქვეყანაში დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა კანონპოექტების პაკეტის ინიცირება და შესაბამისად, მშრომელთათვის ცივილური შრომის გარანტირების შესაძლებლობა, გაურკვეველი ვადით გადადო.

გასული ერთი წლის განმავლობაში, მშრომელების წინააღმდეგობის რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა მოხდა, რომელიც გაფიცულების პრინციპულობით, კონკრეტული მოთხოვნების ეფექტური არტიკულირებითა და სოლიდარობის აქტებით ხასიათდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჭიათურაში მომხდარი გაფიცვა, რომელსაც სოლიდარობა ქალაქის დიდმა ნაწილმა გამოუცხადა და რომელიც, საბოლოოდ, 'ჯორჯიან მანგანეზის' თანამშრომელთა მოთხოვნების, მათ შორის, ხელფასების 35%-იანი ზრდის დაპირებით დასრულდა. ბრძოლის ველი იყო ტყიბულიც, სადაც მეშახტეები ხელფასების შახტის დატოვებაზე უარს აცხადებდნენ. მოლაპარაკებები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს ჩართვის შემდე წარმატებით დასრულდა. მალევე გაირკვა, რომ ტყიბულის საწარმოს ახალი კომპანია გადაიბარებს და პასუხისმგებლობას ტყიბულის შახტებში უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვაზე ის აიღებს.

თუმცა ყველაზე გამორჩეული მაინც სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ სოციალური მუშაკების, სოციალური მომსახურების სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით გაფიცვა გამოდგა. სოციალური მუშაკების წინააღმდეგობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ, საბოლოო ჯამში, ის სოციალური მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას, ადამიანის უფლებების და სოციალური დაცვის უფრო სამართლიანი, ქმედითი და ჰუმანური მექანიზმების და პოლიტიკის შექმნას ემსახურებოდა. სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, სოციალური მუშაკების და შესაბამისად, მათი ბენეფიციარების - საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების - ბევრი პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

უსახლკარობა

მიუხედავად 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში პრინციპების დონეზე გაჩენილი ჩანაწერისა, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ადამიანის ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ხოლო 2018 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული ვალდებულებისა, რომ უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიქმნას, ქვეყანას უსახლკარობის პრობლემების დაძლევის მიმართულებით ხედვა დღემდე არ გააჩნია. გადაუდებელ აუცილებლობად რჩება კანონმდებლობის დახვეწა; უსახლკარობის ცნების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განსაზღვრა; უსახლკარო პირთა რაოდენობის დადგენა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება; უსახლკარობის მიზეზებისა (მათ შორის, ქვეყანაში არსებული აზარტული ინდუსტრიისა და მევახშეობის გავრცელების უსახლკარობაზე გავლენის) და ფორმების, ასევე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წინაშე ამ სფეროში არსებული გამოწვევების კვლევა; ამგვარ კვლევებზე დაფუძნებით კი, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება; საცხოვრისის რელევანტური სერვისების შექმნა, გაფართოება ან/და გამრავალფეროვნება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

სახელმწიფოს მიერ ფორმალურ დონეზე გაცხადებული ნება შშმ პირთა უფლებების გარანტირების შესახებ, მათ უფლებრივ მდგომარეობაზე რეალურად დღემდე არ ასახულა. დისკრიმინაცია და მარგინალიზაცია შშმ პირების ცხოვრების ყოველდღიურობად რჩება.

გარემოს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებიდან 5 წლის თავზე, სახელმწიფოს არ აქვს შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით ერთიანი, სისტემური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკა.

გამორჩეული პოზიტიური ნაბიჯი 2014-2015 წლებში ქმედუნარიანობის რეფორმა იყო, რომლის ფარგლებშიც, მეურვეობის ინსტიტუტის გაუქმებით, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ადამიანებს თავადვე უნდა მიცემოდათ საკუთარი ცხოვრების

წარმართვისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება. თუმცა რეფორმის დიდი ნაწილი პრაქტიკაში დღემდე არ დანერგილა და დიდ წილად, ქვეყანაში ისევ *დე ფაქტო* მეურვეობის სისტემა მოქმედებს.

უმწვავესი და განგრძობადი პრობლემაა დიდი ზომის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი პირების ღირსების შემლახავ პირობებში ცხოვრება. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ დეინსტიტუციონალიზაციის გაცხადებული პოლიტიკისა, ამ მიმართულებითაც ხელშესახები შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა

იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს არ გააჩნია ენერგეტიკის, მათ შორის ჰიდროენერგეტიკის, განვითარების სტრატეგია ან/და გეგმა, რომელიც სისტემურად, ერთიანობაში, ქვეყნის ზოგადი განვითარების კონტექსტში, განსაზღვრავდა ქვეყნის ჰიდრორესურსების განვითარების ხედვებსა და შესაბამის სტანდარტებს, დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მუშაობა 117 ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე მიმდინარეობს.

არსებით გამოწვევებს წარმოადგენს განახლებადი ენერგეტიკის განვითარების სისტემური მიდგომისა და სტრატეგიის არქონა; ჰესების მშენებლობის დაგეგმვის და განხორციელების გაუმართავი და გაუმჭვირვალე საკანონმდებლო ნორმები; პროექტების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასაკმარისი ჩართულობა; პროექტების გარემოსა და მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასებების ხარვეზულობა; გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების არარსებობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის უგულებელყოფა და საბჭოთა პერიოდის მოძველებული ნორმებით სარგებლობა; ექსპლუატაციაში შესული ჰესების მიერ მინიმალური სტანდარტების, სანებართვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვალდებულებების და საკომპენსაციო ღონისძიებების შეუსრულებლობა და ამაზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება.

კონკრეტულად ზემო სვანეთში მიმდინარე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით, EMC-იმ ჰესების მშენებლობების ადამიანის უფლებებზე ზეგავლენა შეაფასა და საკუთრებისა და საჯარო სივრცით სარგებლობის უფლებების, ჰესების მოწინააღმდეგეების მიმართ გამოხატვის თავისუფლების, საჯარო ინფორმაციის მიღების, შრომით უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები გამოავლინა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა და სასამართლოს რეფორმა

გასული წლის 24 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ათკაციანი სია [წარუდგინა.](

კანდიდათა შერჩევა უხეში პროცედურული დარღვევებით, გაუმჭვირვალედ და დაჩქარებულად წარიმართა, ხოლო საბოლოოდ შედგენილი სია აშკარად გამოხატავდა სასამართლო სისტემაში არსებულ გავლენიან პირთა ჯგუფის ინტერესებს.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზეწოლის ფონზე, პარლამენტის იურიდულ საკითხთა კომიტეტმა აღნიშნული საკითხი დაჩქარებული წესით აღარ განიხილა, ხოლო საბჭოს მიერ წარდგენილმა პირებმა თავად განაცხადეს უარი საკუთარი კანდიდატურების განხილვაზე. 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის საკითხების რეგლამენტირება და ამ მიზნით შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პროექტზე მუშაობა. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ორგანომ ამ ცვლილებებითაც ვერ შექმნა ბოლომდე გამართული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს გარკვეულ ბარიერებს და შეზღუდვებს დაუდგენდა. პარლამენტის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს მკაცრად აკრიტიკებდა „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, რომლის ძირითად ნაწილსაც აგრეთვე იზიარებდა ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ვენეციის კომისია და ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.

საბოლოოდ, კანონპროექტის ავტორებმა წარმოდგენილი რეკომენდაციების მხოლოდ ნაწილი გაითვალისწინეს და კვლავაც მოუგვარებელი დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა კანდიდატის ნომინირება ღია კენჭისყრითა და დასაბუთებული გადაწყვეტილებით; ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას; საბჭოს არამოსამართლე წევრთა არასაკმარისი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სხვ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატების შერჩევის ხელახალი პროცესი სწორედ აღნიშნული ხარვეზიანი კანონმდებლობის მიხედვით წარიმართა და ბუნებრივია, ამ პროცესშიც არაერთი დარღვევა გამოვლინდა. საბოლოოდ, საბჭოს მიერ 20 კანდიდატი შეირჩა და წარედგინა საქართველოს პარლამენტს, ამ უკანასკნელმა კი საშემოდგომო სესიის პერიოდში წარმართა კანდიდატების ინდივიდუალური განხილვა ღია საკომიტეტო მოსმენებზე. საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ არ მიუღია კანდიდატებთან დაკავშირებით, თუმცა საკომიტეტო მოსმენებმა ნათლად გამოავლინა როგორც კონკრეტული კანდიდატების კუთხით არსებული პრობლემები და მთლიანად სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესი უმნიშვნელოვანესია ქართული მართლმსაჯულების სისტემისათვის და ამ პროცესების საბოლოო შედეგები დიდწილად განსაზღვრავენ სასამართლო დამოუკიდებლობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ხარისხს.

2019 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში აგრეთვე წარიმართა „სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღად“ ცნობილი კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტი აუმჯობესებს მოსამართლეთა დისციპლინირებასთან დაკავშირებულ არაერთ

საკითხს, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შერჩევის პროცესს. თუმცა, კვავაც ვერ აგვარებს სასამართლოების თავმჯდომარეთა დანიშვნის წესებს, არ უზრუნველყოფს მოსამართელა დისციპლინური პასუხისმგებლობის სათანადო გამჭვირვალობას, აგრეთვე კვლავაც არ შეიცავს დანაწესს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობის თაობაზე.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზება კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნისათვის. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შუქზე, პროკურატურის სისტემაში გაჩნდა რესურსი, სიღრმისეული ცვლილებები გატარებულიყო და უწყების შიგნით გაძლიერებული კოლეგიური ორგანოების ფუნქციები, რაც უზრუნველყოფდა გენერალური პროკურორის უკონტროლო ძალაუფლების დაბალანსებას. სამწუხაროდ, პროკურატურის შესახებ ცვლილებებმა აღნიშნული პრობლემები სრულყოფილად ვერ აღმოფხვრა და თითქმის უცვლელად დატოვა გენერალური პროკურორის შერჩევა-დანიშვნის წესები, რა დროსაც, არაა დაზღვეული გადაწყვეტილების მიღება ცალმხრივი პოლიტიკური ინტერესებით. საბოლოო ჯამში, პროკურატურის რეფორმა კვლავაც ღიად რჩება და აღნიშნული საკითხი შემდგომ საპარლამენტო მუშაობას მოითხოვს.

2019 წელს ერთ-ერთი აქტიური თემა იყო საგამოძიებო სისტემის რეფორმა. კერძოდ, გამოძიების პროცესში საგამოძიებო და საპროკურორო კომპეტენციების ნათლად გამიჯვნა, ძლიერი საგამოძიებო უწყებების შექმნა და სრულყოფილი, ობიექტური გამოძიების უფრო მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფა. აღნიშნულ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მუშაობა ფართომასშტაბიანი რეფორმის პროექტზე, თუმცა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების და უწყებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების ფონზე, აღნიშნული სამუშაო პროცესი კონკრეტულ რეფორმამდე, ან საკანონმდებლო ცვლილებებამდე არ მისულა და კვლავაძ გამოწვევად რჩება გამართული, ეფექტიანი და ობიექტური საგამოძიებო სისტმის შექმნა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კუთხით, მნიშვმნელოვან პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ 2019 წლის 1 ნოემბრიდან ქვეყანაში ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც უფლებამოსილი იქნება, დამოუკიდებლად გამოიძიოს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი კონკრეტული ტიპის დანაშაულები. სამსახურის შექმნას არაერთი წლის განმავლობაში ითოხვდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები და ამ უწყებას მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება პოლიციის/პროკურატურის მხრიდან ძალის გადამეტებისა თუ არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. აღსანიშნავია, რომ სამსახურის საგამოიებო უფლებამოსილების ამოქმედება მანამდე ოთხჯერ გადაავადა საქართველოს პარლამენტმა, რის გამოც უწყების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიღმა დარჩა 2019 წელს განვითარებული არაერთი მოვლენა, მათ შორის 20-21 ივნისის დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შესაძლო ფაქტები.

შეკრებები, მანიფესტაციები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

2019 წელს ქვეყანაში შექმნილი დინამიური და ხშირ შემთხვევაში აგრესიული პოლიტიკური ვითარების ფონზე, ხშირი იყო მასშტაბური შეკრებები და მანიფესტაციები. განსაკუთრებით გამოსარჩევია 20-21 ივნისის მოვლენები, რა დროსაც სპონტანურად შეკრებილი დემონსტრანტები აპროტესტებდნენ რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის გამოსვლას საქართველოს პარლამენტის შენობაში და მისთვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დათმობას. აღნიშნულ დემონსტრაციას საბოლოოდ მასშტაბური დაპირისპირება მოჰყვა მოქალაქეებსა და პოლიციას შორის, რა დროსაც სახელმწიფომ აშკარად არათანაზომიერი ძალა გამოიყენა დემონსტრანტების მიმართ და შედეგად, არაერთმა მშვიდობიანმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება.

შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების განმუხტვის მიზნით, თანამდებობა დატოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ხოლო მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ საჯარო დაპირება გააკეთა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით ჩატარების თაობაზე. აღნიშნულმა ნაბიჯებმა პოზიტიური როლი ითამაშეს პოლიტიკური ვითარების დასტაბილურებისათვის. თუმცა, მიმდინარე წლის ნოემბერში, პროპორციული საარჩევნო სისტემის თაობაზე შემუშავებული კონსტიტუციური ცვლილებები მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ ჩააგდო, რასაც კიდევ ერთხელ მოჰყვა ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები საქართველოს პარლამენტთან. ამ შემთხვევაში დემონსტრანტების მიზანს წარმოადგენდა პარლამენტის შენობის პიკეტირება და ამ გზით ხელისუფლების იძულება, შეესრულებინა რამდენიმე თვით ადრე გაკეთებული დაპირება.

აღსანიშნავია, რომ პოლიციის მხრიდან ნოემბრის თვეში მიმდინარე აქციების დროსაც ხდებოდა ძალის არაპროპორციულად გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში ემსახურებოდა ძალის დემონსტრირებას. ამავდროულად, ზოგად ტენდენციად ჩამოყალიბდა შეკრება-მანიფესტაციების დროს, აქციის მონაწილეთა მასობრივი დაკავება. ამ ფონზე, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საქმეების განხილვა, როგორც წესი, ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური დარღვევებით მიმდინარეობდა. კიდევ ერთი ტენდენცია, რაც 2019 წელს კიდევ უფრო გამძაფრდა, შეეხება ე.წ. კონტრ-აქციებს. რა დროსაც, ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიმართული დემონსტრაციების დროს, ჩნდებიან ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც უპირისპირდებიან აქციის მონაწილეებს და როგორც წესი, გამოირჩევიან აგრესიული, ძალადობრივი რიტორიკითა და ქმედებით. სამწუხაროდ, აღნიშნული ჯგუფების მიმართ სამართალდამცავი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ ეფექტური ზომების გატარებას, რაც ტოვებს მათი პოლიტიზირების შთაბეჭდილებას.

პოლიციის მხრიდან დემონსტრანტების მიმართ გამოჩენილ დისპროპორციულ ძალას, ამის საპირისპიროდ კი - კონტრდემონსტრანტების აგრესიულ ქმედებებზე ფაქტობრივად ნულოვან რეაგირებას, აგრეთვე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა მიმართ სასამართლო განხილვების ხარვეზიანად წარმართვას, შესაძლოა მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს შეკრება-მანიფესტაციის და ზოგადად, გამოხატვის უფლებით სარგებლობაზე.

ნარკოპოლიტიკის ჩავარდნილი რეფორმა - მორიგი შეუსრულებელი დაპირება და ადამიანის უფლებების დარღვევის განგრძნობადი რისკები

წინა წლებთან შედარებით, ნარკოტიკული დანაშაულის მიმართ სახელმწიფოს მიდგომა შესაძლოა უფრო რბილია, თუმცა არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა კვლავაც დასჯაზე და რეპრესიაზეა ორიენტირებული. 2019 წელს, ფაქტობრივად ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმირებისკენ. ამ ფონზე, კიდევ უფრო მძიმე იყო პრეზიდენტის მორატორიუმი შეწყალებაზე, რადგან ხშირ შემთხვევაში, სწორედ შეწყალების მექანიზმით ახერხებდნენ უსამართლოხ ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელებისგან თავის დახსნას ნარკოტიკის მომხმარებლები. ნარკოპოლიტიკის რეფორმის საჭიროება კვლავაც ძალაშია, მით უფრო იმ ფონზე, რომ ამ დროისთვის არაერთი მსჯავრდებული იხდის სასჯელს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისათვის.

ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით 2019 წელი არ ყოფილა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მომტანი. ინტეგრაციის პოლიტიკაში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი რუტინული აქტივობები არსებითად არ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ რეალურ პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევებს და უმცირესობების დაბალი, უფრო კი „წარმოსახვითი“ პოლიტიკური მონაწილეობის პირობებში რთულდება არადომინანტური ჯგუფების საჭიროებების, წუხილების და ინტერესების სათანადო პოლიტიკური არტიკულირება.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა უფლებების დაცვის, თანასწორობისა და ინკლუზიის პრინციპების ნაცვლად, მეტწილად ისეთ პრობლემურ პერსპექტივებს ეფუძნება, **როგორიცაა უსაფრთხოება, გეოპოლიტიზირება და კულტურული დომინაცია.** სახელმწიფო პოლიტიკა სათანადოდ ვერ ხედავს იმ **ღრმა და სტრუქტურულ უთანასწორობას,** რომელიც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიმართ არსებობს ისტორიული იგნორირების და დომინაციის პრაქტიკების გამო. ამ მიდგომების პირობებში კი სახელმწიფოს **არ გააჩნია სპეციალური პოზიტიური პოლიტიკები** (მათ შორის, პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებაზე ორიენტირებული სპეციალური მექანიზმები, დასაქმების ხელშემწყობი პოლიტიკა, სოციალური დაცვის პროაქტიული მიდგომები), რომელიც მისი აღმოფხვრის სისტემურ და ინსიტიტუციურ შესაძლებლობებს შექმნიდა.

მიმდინარე წელს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან კვლავ ისმოდა პრობლემური და დისკრიმინაციული განცხადებები ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ნიშანდობლივი იყო პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის გამაუცხოვებელი განცხადება, რომელმაც საქართველოს აზერბაიჯანელი თემი მეზობელ ქვეყანას დააკავშირა. მიმდინარე წელს პარლამენტში დაფიქსირდა კიდევ ერთი სიმპტომატური შემთხვევა, როდესაც პარლამენტის დეპუტატმა სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სამმართველოს შეიხს ქართული ენის არ ცოდნის გამო შენიშვნა მისცა და მიუთითა, რომ თუ ის საქართველოს მოქალაქეა, ქართულ ენაზე უნდა ილაპარაკოს.

EMC-ის აქტიური მუშაობა ქვემო ქართლის რეგიონში აჩვენებს, რომ ქართული ენის დომინაციის პოლიტიკას მძიმე სოციალური შედეგები მოაქვს ადგილობრივი აზერბაიჯანელი თემისთვის. სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკის გაძლიერება არსებითია, თუმცა წლების განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობა და სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანოები არ უზრუნველყოფენ აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანის რესურსებს, რაც პოლიტიკიდან ადგილობრივების დიდი ნაწილის გარიყვას იწვევს. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) უახლოესი კვლევა აჩვენებს, რომ უმცირესობების რეგიონებში ადიგლობრივი მუნიციპალიტეტისთვის ადამიანების თითქმის 70%-ს არც კოლექტიური და არც ინდივიდუალური საჭიროებისთვის არასდროს მიუმართავს. რეგიონში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კიდევ უფრო მძიმე პრობლემაა.

ქვემო ქართლის სოფლებში მძიმედ დგას სასიცოცხლო რესურსებზე (მიწა, სასმელი და სარწყამი წყალი) და ბაზისურ სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც ცხადია, ეთნიკური უმცირესობების სოციალურ მოწყვლადობას ზრდის.

ამ რეგიონებში პრობლემურია წინასასკოლო განათლების ინფრასტრუქტურის სიმცირე. განათლების ხარისხი კი უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საჯარო სკოლებში მკვეთრად დაბალი და უთანასწორო, რაც ამ ჯგუფებს სათანადო განვითარების შესაძლებლობას უსპობს. ამ დრომდე განათლების სამინისტროს არ შეუმუშავებია სპეციალური ხედვა და პოლიტიკა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ზოგადი განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებს რეალურად უპასუხებდა.

1+ 4 პროგრამის მხარდაჭერით განათლებამიღებული ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი ასევე დაბალია და სამწუხაროა, რომ ამ ჯგუფისთვის დასაქმების მხარდამჭერი სპეციალური პოლიტიკა (სახელმწიფო უწყებებში სტაჟირების პროგრამის მიღმა) სახელმწიფოს არ გააჩნია.

საყურადღებოა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო კულტურის დომინაციის თვალშისაცემი პრაქტიკები, რაც ადგილობრიცი კულტურის პოლიტიკაში ნათლად ჩანს, მათ შორის, ადგილობრივი დღესასწაულების გადაწერის, უმცირესობების კულტურის სუსტი რეპრეზენტაციის მექანიზმებით.

ხაზი უნდა გაესვას 1+4 პროგრამის მნიშვნელოვან სოციალურ შედეგებს, რაც, მათ შორის, ჩანს რეგიონში ახალგაზრდა, კარგი განათლების მქონე აქტივისტების უნიკალური რესურსის შექმნაში, რომლებიც პოლიტიკური თვითგამორკვევის და ორგანიზების საინტერესო გამოცდილებებს ქმნიან.

2019 წელი განსაკუთრებით მძიმე იყო პანკისის ხეობისთვის. 21 აპრილს პანკისის ხეობაში ჰესის მშენებლობის უზრუნველყოფისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასშტაბური საპოლიციო ღონისძიება დაგეგმა იმ პირობებში, როცა ჰესების გარშემო მიმდინარე პოლიტიკური მოლაპარაკებები ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. აღსანიშნავია, რომ მთელი წლის განმავლობაში პოლიცია და სუს ადგილობრივი ლიდერებისა და აქტივისტების პოლიციის განყოფილებებში დაბარებისა და მუქარის ტაქტიკებით აქტიურად ცდილობდა

ჰესების კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტის შესუსტებას. ჰესების თემაზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში სრულიად უკანონოდ ღიად იყო ჩართული შს მინისტრის მოადგილე. აპრილის მოვლენების შემდეგ ჰესის მშენენებლობის საკითხი დროებით შეჩერდა, თუმცა, ჰესების კასკადის მშენებლობის და მისი სოციალური და გარემოს დაცვითი გავლენების შესაფასებლად დემოკრატიული კონსულტაციების პროცესი სახელმწიფომ მიანც არ შექმნა.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჰესების თემის გარშემო პოლიციის და სუს-ის აქტიურმა ინტერვენციამ და ამ პროცესში შიდა ინტერესთა ჯგუფების შექმნისა და წახალისების სტრატეგიამ, თემში შიდა დაპირისპირების რისკები გაზარდა, რაც, ადგილოვრივების თქმით, მიმდინარე წლის 27 ნოემბერს ადგილობრივ ჯგუფებს შორის შეიარაღებული კონფლიქტითა და მძიმე მსხვერპლით დასრულდა.

მიმდინარე წელს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე მიმდინარე გამოძიების პროცესს კვლავ არ მოჰყოლია მნიშნელოვანი შედეგი. მაჩალიკაშვილების ოჯახს ისევ არ აქვს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და საქმის მასალების მნიშვნელოვან ნაწილზე წვდომა. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში საქმეზე მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის, სუს-ის ხელმძღვანელისა და მოადგილის დაკითხვის პროცესმა აჩვენა, რომ გამოძიება ფორმალურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე წელს EMC-იმ განაცხადი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც მალევე დაიწყო კომუნიკაციის პროცესი საქართველოს მთავრობასთან. მაჩალიკაშვილების ოჯახების მიმართ უსამართლობის კიდევ ერთი გამოვლინება 21 ივნისს პარლამენტის წინ მიმდინარე მოვლენების დროს მათი ოჯახის წევრის, მორის (ჰუსეინ) მაჩალიკაშვილის თვითნებური დაკავება იყო, რომელიც ამ დრომდე პატიმრობაში რჩება.

მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმე, ისევე როგორც ჰესებთან დაკავშირებული მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია, ძალის დემონსტრირების ის მაგალითებია, რომელიც პანკისის ხეობაში სხვადასხვა ხელისუფლების პოლიტიკას ისტორიულად ახასიათებს. დემონსტრაციულად რეპრესიული სპეცოპერაციები ხეობაში ადგილობრივებში დაუცველობას, შიშს და გაუცხოებას ქმნის. თუმცა, დასჯის, რეპრესიის ამ მძიმე შემთხვევებს ხელისუფლების მხრიდან სრული უმოქმედობა ან/და ძალის გამოყენების გაუმართლებელი ლეგიტიმაციის და ნორმალიზების რიტორიკა ახლავს თან (ამ კუთხით, სიმპტომატურია, ახლანდელი შსს-ს მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ ის ჰესების წინააღმდეგობის საპირისპიროდ უფრო მეტ ძალას გამოიყენებდა). ის არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური მექანიზმებით არ ცდილობს ადგილობრივი თემში სოციალური უსაფრთხოების და ნდობის გაჩენისთვის საჭირო ძალისხმევის გაწევას.

ხეობაში თვალშისაცემია ადგილობრივების მიგრაციის მზარდი ტენდენცია, რაც ბოლო წლებში ხეობაში შექმნილ კრიზისს და უიმედობას ასევე უნდა უკავშირდებოდეს.

პანკისის ხეობაში შექმნილი კრიზისის ფონზე, ხელისუფლებას არ გადაუდგამს სათანადო ნაბიჯები, რომელიც არსებულ სოციალურ ფრუსტრაციას და უნდობლობას დაძლევდა.

რეპრესიასა და კონტროლზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაცვლად, თანასწორობასა და მდგრად განვითარებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემობრუნების შესახებ არა ერთი რეკომენდაციის მიუხედავად, მთავრობას არ აღმოაჩნდა ამგვარი პოლიტიკის გატარების პოლიტიკური ნება და რესურსი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული პანკისის ხეობის განვითარების გეგმის პროექტიც სხვადასხვა უწყებების რუტინული საქმიანობების კომპილაცია უფროა, ვიდრე რეალურ სოციალურ ცვლილებებზე და პოზიტიურ განვითარებაზე ორიენტირებული ხედვა.

ბოლო წლებში ადგილობრივი აქტივისტები ცდილობენ შეცვალონ თემის სხვადასხვა პრივილეგირებული ჯგუფების გამოყენებით მართვის პოლიტიკის სტრუქტურა და ის უფრო დემოკრატიული, მონაწილეობითი და ღია გახადონ. თუმცა, იმ პირობებში როდესაც ხელისუფლება მის მიდგომებს ხეობასთან დაკავშირებით არ ცვლის და კვლავ საფრთხის და კონტროლის არადემოკრატიული მექანიზმით ოპერირებს, ადგილობრივი აქტივისტებისთვის სოციალური ცვლილებების მიღწევა რთული ხდება და ცვლილების მიღწევის რწმენის ძალაც სუსტება. **ეკლესია, რელიგიის თავისუფლება და არადომინანტური რელიგიური ჯგუფები**

რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამწვევების დიდი ნაწილი (*მათ შორის,* დაფინანსების არსებული არასეკულარული და დისკრიმინაციული პრაქტიკები, რელიგიური უმცირესობების მიმართ რესტიტუციის პოლიტიკის არ არსებობა) კვლავ აქტუალური იყო მიმდინარე წელსაც.

მეტიც, მიმდინარე წელს არა ერთხელ დადგა დღის წესრიგში რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული საკანონმდებლო სტანდარტების და გარანტიების გაუარესებასთან დაკავშირებული ინიციატივები (მათ შორის, რელიგიის შესახებ სპეციალური კანონის მიღებასთან, მუსლიმი ქალების რელიგიური ატრიბუტიკის აკრძალვასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან არადომინანტური რელიგიების სასულიერო პირების გათავისუფლების წესის გაუქმებასთან დაკავშირებული ინიციატივები). აღნიშნული ინიციატივების შეჩერება მეტწილად რელიგიური ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორების ორგანიზებით და ადვოკატირებით მოხერხდა.

მიმდინარე წელს ECRI-ის, FCNM-ის, ოსლოს კოალიციის, გაეროს და ევროკავშირის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მეგი ნიკოლსონის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები უთითებენ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ სუსტი ნდობის და ამ უწყების საქმიანობაში კონტროლსა და ფავორიტიზმე დაფუძნებული მიდგომების პრობლემაზე. რელიგიური ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კრიტიკის და რეკომენდაციის მიუხედავად, მთავრობა, ამ უწყების გაუქმებას ან მისი მანდატისა და პოლიტიკის ტრასფორმაცია ამ დრომდე არ მოახდინა და ის კვლავ ცდილობს არსებული პრობლემური status quo შეინარჩუნოს.

მიმდინარე წელს საინტერესო დინამიკა გააჩნდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენელობის პროცესს. 2019 წლის 30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მეჩეთის მშენებლობის

საქმეზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მერიის უარი დისკრიმინაციულად და უკანონოდ მიიჩნია. თუმცა, ბათუმის მერიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა და კვლავ პროცესის გაჭიანურების და შეფერხების სტრატეგია გამოიყენა. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა ქართველი მუსლიმი თემის ისტორიული მოთხოვნაა და მის უკან ისლამის სუსტი პოლიტიკური და კულტურული რეპრეზენტაციის და მუსლიმების უფლებების არასათანადო აღიარებისა და დაცვის უკმაყოფილება დგას, თუმცა, მთავრობა ამ პრობლემას სათანადოდ არ პასუხობს და კვლავ იგნორირების მიდგომას ინარჩუნებს.

მიმდინარე წელს კვლავ დადგა ადგიგენში მუცლიმი თემის მძიმე უფლებრივი მდომარეობის პრობლემა. სახელმწიფომ ადიგენის მუნიციპალიტეტში სოფელ კიკიბოსა და დერცელში მცხოვრები მუსლიმების კუთვნილი საძოვარი მიწები (დაახლოებით 8 ჰა) საპატრიარქოს უკანონოდ და დაუსაბუთებლად გადასცა. არსებული მიწა მუსლიმი გლეხებისთვის სასიცოცხლო რესურსია და მისი წარმთევა მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ოჯახების ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. EMC-ის არა ერთი მცდელობის მიუხედავად, მოლაპარაკებების გზით პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა ვერ მოხერხდა. ამ ეტაპზე აღნიშნულ საქმეზე EMC დავას აწარმოებს სასამართლოებში. 2013 წელს სოფელ ჭელაში, 2014 წელს სოფელ მოხეში, 2016 წელს სოფელ ადიგენში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების შემდეგ, აღნიშნული საქმე კიდევ ერთხელ აჩვენებს ამ რეგიონში მუსლიმი თემის მძიმე უფლებრივ მდგომარეობას და სახელმწიფოს დროული და სისტემური ჩარევის აუცილებლობას. თუმცა, იმ პირობებში როდესაც რელიგიის თავისუფლების კუთხით სახელმწიფო პოლიტიკა არსებითად იმთავითვე პრობლემური იდეების და მიდგომების მქონე უწყებას აქვს ჩაბარებული, რთულია, პოზიტიური ცვლილებების მოლოდინი არსებობდეს.

მიმდინარე წელს კვლავ გამოვლინდა ახალქალაქში კათოლიკური სალოცავის დაზიანების შემთხვევა, რომელიც წინა წლებში ამ რეგიონში გამოვლენილი მსგავსი ვანდალიზმის ფაქტებს აგრძელებს.

2019 წელს აჭარის მაღალმთიან რეგიონში კვლავ გამოვლინდა საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაციის შემთხვევები. სოფელ ქედაში ადგილობრივ რესურს-ცენტრში სკოლის დირექტორებისა და სხალთის ეპარქიის წარმომადგენლებს შორის დაგეგმილი შეხვედრის დროს, სკოლის დირექტორების მიერ გაკეთდა მძიმე განცხადებები მოსწავლეების „ძირძველ რელიგიაზე დაბრუნებისა და მოქცევის“ შესახებ.

მიმდინარე წელი კრიზისული იყო მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც. საპატრიარქოს გავლენიანი სასულიერო პირების, მათ შორის, (ყოფილი) ქორეპისკოპოსი იაკობისა და ჭყონდიდის (ყოფილი) ეპისკოპოსის პეტრე ცაავას საჯარო განცხადებები ეკლესიის შიგნით მიმდინარე პროცესებზე ხელისუფლების შესაძლო გავლენებსა და ეკლესიის შიგნით ძალადობრივი და კანონიკურად მიუღებელი სექსუალური პრაქტიკების არსებობაზე უთითებდნენ. აღნიშნულ განცხადებებს არ მოჰყოლია სათანადო გამოძიება, საპატრიარქოს წიაღში გამოვლენილი კრიზისი კი შიდა რეფლექსიის და რეფორმის წინაპირობა ვერ გახდა. კრიტიკული ეპისკოპოსების დასჯით სინოდმა არსებული status quo შეინარჩუნა და მძიმე

ბრალდებების შესახებ განხილვა შეაჩერა. აღსანიშნავია, რომ სინოდის მიერ რამდენიმე წლიანი განხილვის შემდეგ 2019 წლის 31 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება/რეკომენდაცია დეკანოზი გიორგი მამალაძის შეწყალების თხოვნის შესახებ ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილი საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

ლგბტქი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა

2019 წელი განსაკუთრებით მწვავე იყო ლგბტქი ადამიანებისთვის. მთელი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ლგბტი ადამიანების მიმართ ძალადობის, ძალადობისკენ მოწოდებისა და მათი უფლებების განხორციელების ხელშეშლის მძიმე შემთხვევებს, რომელიც მეტწილად ორგანიზებული ძალადობრივი ანტიდემოკრატიული ჯგუფების მიერ იყო ჩადენილი. არსებულ ძალადობრივ ჰომოფობიურ პრაქტიკებს სახელმწიფო არ დაუპირისპირდა არც ეფექტიანი პრევენციული და სამართალდაცვითი მიდგომებით და არც თანასწორობასა და ადამიანის უფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებული რიტორიკით. მეტიც, მოქმედი ანტიდემოკრატიული ჯგუფების საქმიანობის ისტორია და აქტიური მონაწილეობა ანტისახელისუფლო პროტესტების წინააღმდეგ, აჩენს რისკებს, რომ ამ ჯგუფებს ხელისუფლება პოლიტიკურად იყენებს და გარკეულ იმუნიტეტსაც აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის მიმართ სახელმწიფოს კანონმდებლობისა (მათ შორის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში პოზიტიური ცვლილებები) და ინსტიტუციური მიდგომების პოზიტიური ცვლილება, ლგბტქი ადამიანებთან დაკავშირებული საკითხები კვლავ პოლიტიზებულია და მათ არ ეძლევათ საკუთარი უფლებებით სხვებთან თანასწორად სარგებლობის შესაძლებლობა. პრობლემურია ის გარემოებაც, რომ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მისი დღის წესრიგიდან სრულად გამორიცხა ჰომოფობიის და ლბტ ქალების უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა.

მიმდინარე ინსტიტუციურ რეფორმებთან კავშირში პოზიტიურად უნდა აღინიშნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიგნით სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესება და სათანადო ინსტიტუციონალიზების მდელობა (კოორდინაციისა და მონიტორინგის მქონე სპეციალური სამმართველოს შექმნა შსს-ში), თუმცა, წარსულში მომხადარი დანაშაულების და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და სენსიტიურობის მქონე საქმეების ეფექტიანი გამოძიების პრობლემა კვლავ პრობლემურად რჩება. ზოგიერთ აშკარად ჰომოფობიური ძალადობის გამოძიების პროცესში გამოჩნდა „ორივე მხარის“ დადანაშაულების და ლგბტი ადამიანების თვითნებური დევნის მიდგომაც. ამასთან შსს-ს სისტემაში არსებითად გასაძლიერებელია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის და მსხვერპლის სათანადო დაცვაზე მიმართული სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭო (მათ შორის, ECRI, მინისტრთა კომიტეტი, რომელიც იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგს ახდენს) საქართველოს მთავრობას მოუწოდებს პოლიციის შიგნით შექმნას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და უშუალოდ რეაგირების მანდატის მქონე სპეციალური სამსახურები.

სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფს ლგბტქი ადამიანების შეკრების თავისუფლების დაცვას და ღიად ახდენს მათი უფლებების უგულებელყოფას. 2012 და 2013 წლებში 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს ლგბტქი ადამიანების მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა. ასევე რეაგირების გარეშე დარჩა 2019 წლის ივნისის თვეში ორგანიზაცია „თბილისი პრაიდისა“ და მათი მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი აქტები. სახელმწიფომ ასევე ვერ უზრუნველყო 2019 წლის ნოემბერში ანტიდემოკრატიული ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მომდინარე შუღლის გაღვივებისკენ მიმართული ძალადობრივი აქტები, რომელიც ფილმის „And then we danced”-ის ჩვენებას უკავშირდებოდა. ულტრაკონსერვატიული ჯგუფების ლიდერების მიერ გაკეთებული აშკარად ძალადობრივი მოწოდებები და ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზება, არ გახდა მათ მიმართ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების წინაპირობა.

ხელისუფლება სათანადოდ არ იაზრებს ჰომოფობიის მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ შედეგებს და არ დგამს მისი დაძლევისთვის საჭირო სისტემურ ნაბიჯებს, რომელიც განათლების, საჯარო მოხელეებისა და პროფესიული წრეების ცოდნისა და მგრძნობელობის ცვლილებასა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საჯარო როტირიკის გაძლიერებას საჭიროებს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობა

2019 წლის ბოლოს განსაკუთრებით პრობლემურად დადგა ახალგორში მცხოვრები ადამიანების მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისი. 2019 წლის 4 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის de facto ხელისუფლებამ მოსაბრუნის (ე.წ. რაზდახანის) გამშვები პუნქტის ჩაკეტა, რამაც ახალორში მცხოვრები ქართველი და ასევე ოსი მოსახლეობისთვის მძიმე სოციალური და ჰუმანიტარული მდგომარეობა შექმნა. საზღვარი ამ დრომდე ჩაკეტილია. იზოლაციის პირობებში ადგილობრივებს ერთმევათ წვდომა სათანადო სამედიცინო სერვისებზე, პენსიებზე და საკვებზე. ისინი მოსწყდნენ საკუთარ ოჯახებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და სრულ იზოლაციაში მოექცნენ, განსაკუთრებით მოხუცები. ახალგაზრდებს შეეზღუდათ განათლების მიღების უფლება. ცხინვალში სათანადო სამედიცინო სერვისების არ ქონის გამო, დაფიქსირდა რამდენიმე ადამიანის გარდაცვალების ტრაგიკული ფაქტი. აღსანიშნავია, რომ 2 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის de facto რეჟიმმა ახალგორთან ჩაკეტილი საზღვარზე რეჟიმი შეარბილა და მძიმე ავადმყოფებს და პენსიონერებს სპეციალური სიებით გადმოსვლის შესაძლებლობა მისცა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება ადამიანების შეზღუდულ წრეს ეხება და ადგილობრივების დიდი ნაწილი კვლავ მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევების წინაშე რჩება.

შექმნილი კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა 2019 წლის 9 ნოემბერს ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავების ფაქტით, რომელიც ამ დრომდე ცხინვალის საპატიმრო დაწესებულებაში რჩება. ცხინვალის de facto რეჟიმის მხრიდან ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავშირება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან და ექიმის მხრიდან სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრების არაღიარებაზე ხაზგასმა, აჩენს რისკებს, რომ საქმეს პოლიტიკური

კონოტაცია მიეცეს, რაც დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და ხანგრძლივი პატიმრობის რისკებს ზრდის.

უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორების არა ერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ახალგორში შექმნილი მძიმე მდგომარეობის საპასუხოდ დროებითი ღონისძიების (ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის) გამოყენების მოთხოვნით არ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მეტწილად პოლიტიკური და დიპლომატიური მექანიზმების გამოყენებით შემოიფარგლება, რომელსაც მნიშნელოვანი შედეგი ამ დრომდე არ მოჰყოლია.

მთელი წლის განმავლობაში პრობლემურად იდგა სამხრეთ ოსეთის de facto რეჟიმის მხრიდან ახალგორში მცხოვრები თამარ მეარაყიშვილის დევნის საქმე. ადგილობრივი სასამართლოების მხრიდან თამარ მეარაყიშვილის მიმართ გამოძიების არა ერთხელ შეჩერების მიუხედავად, de facto პროკურატურა გამოძიებას აახლებს და ახალ დავას იწყებს. თამარ მეარაყიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდების დაუსაბუთებლობა და შინაარსი, მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკურ ხასიათს აჩვენებს. თამარ მეარაყიშვილის მითითებით, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ფორმატებში სათანადო ძალისხმევას არ წევს მისი საქმის დაყენებისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.